ГАЗЕТИ ДІРА

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და ყოველ განცხადებისა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თბილისს, ... ციას, კუკიას ... ავჭალის ქუჩაზე, ვარანცოვ ... ძეგლის პირ... ირ, თავ. გრუზინსკაიას სახ... ლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სასავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებნი უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ სულის-მოძღვართა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

энциклопед. словарь

См. 4-ую стр.

10 დეკემბერს ამა 1893 წლისას დანიშნულია ქუთაისში

საზოგადო კრება

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა, ამავე ბანკის სადგომში განსახილველად იმ მორიგის საქმეებისა, რომელიც მაისის კრების შეწყვეტის გამო განუხილველი დარჩა. ეს საქმეებია: არჩევანი ზედამხედველ კომიტეტის წევრთა, ბანკის გამგეობის თავსმჯდომარისა და გამგეობისავე წევრთა კანდიდატებისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრებისა თავადი ალექსანდრე წულუკიძე

(3—3)

დაიბეჭდა ხელმეორედ და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

კრილოვის არაკები

თარგმანი აკაკისა

ეს წიგნი მოწონებულია სამოსწავლო მთავრობისაგან სკოლების ბიბლიოთეკებისათვის და მიღებულია ხელსაწყობად ქართულის ენის შესასწავლად.

იმავე წიგნის მაღაზიაში იყიდება

რუსულ-ქართული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა ფ. 3 მ. 60 კ. და სურათი დ. ჩუბინაშვილისა ფასი 20 კაპ. (6—5)

ტფილისი, 18 ნოემბერს

—

15 ნოემბერს ხმოსანმა იაკიმოვმა ჩამოაგდო საბჭოში საუბარი იმის შესახებ, რომ ქალაქს გაეჩინა საკუთარი ფურნე და საყასბო.

ხმოსნის აზრით, ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ალაგმავს შურისა და ხორცის გამყიდველთა ადმატებულს მადას, შეამცირებს შურისა და ხორცის ფასს და იქონიებს გავლენას თვით ამ ხორაგთა სიკეთეზეო.

მაგრამ ტფილისის საბჭომ თითქო აზრი ვერ გაუგო პატივცემულს ხმოსანს: ერთი წილი კრებისა თხოულობდა, რომ სარჩელი გადადებულიყო; ხოლო მეორე წილი, რომელიც უმრავლესობას შეადგენდა, საჭიროდ სთვლიდა, რომ ეს საკამათო საგანი დარჩენილიყო სრულიად უყურადღებოდ.

როდესაც ხმოსანთა აზრი ამ გვარად გამოირკვა, საგულისხმო იყო, რომ ბ-ნ იაკიმოვის სარჩელს დაბადებისათანავე გაეთხრებოდა სამარე.

ეს გადავდოთ და ეხლა უარვყოთ ასე ითარგმნება, ჩვენის ფიქრით: ერთს ნაწილს კრებისას სურდა ეთქვა: ჯერ ამ ახლად დაბადებულს ბაშვს ორიოდე დღის სიცოცხლე მივცეთ და მერე ყელი გამოვჭრათო, მეორე ნაწილი-კი, თითქო უფრთხისო ამისთანა გულჩჩვილობას და თამამად იძახის: ეხლავ ავუგოთ ანდერძი და მოვრჩეთო.

ორსავე შემთხვევაში. ქალაქის საბჭომ ერთს წამს გული დაიმშვიდა, იფიქრა: მადლობა ღმერთს, ამით ან იმით გადავრჩი ამ უსიამოვნო საგანსო და ისეთს გუნებაზე დადგა, როგორც ომიდგან მშვიდობით გადარჩენილი მხედარი...

მაგრამ თერმოპილი ჯერ წინ იყო, და ქალაქის ხმოსანნი ამ გზას გვერდს ვერ აუხვევდნენ... დადგა „პსიხოლოგიური მომენტი“... ქალაქის ინტერესების დამცველნი უნდა ზედ-შესწყდომოდნენ თერმოპილის ვიწროების ჩინებულს დამცველს ლეონიდს.

სამართლიანობა გვაიძულებს აღვიაროთ, რომ მარტო ერთი ბ-ნი იზმაილოვი, რომელიც ამ საფარში იყო ჩამდგარი, ჰლირდა მთელ სპარტანელთა ჯარად და მის სახელოვან სარდლად. მთელი საბჭო—მემარცხენენიცა და მემარჯვენენიც—ვითა სპარსნი ლეონიდისაგან უკუ ქცეულ იქნა და სარჩელი ... ტაძე გაიღვიძებდა, ჯულეტას რეპეტიცია ჰქონდა ცირკში სახვალიო წარმოდგენისათვის. მაშასადამე ფშატაძე ამაოდ გულს იწყლავდა შეტაკებისათვის და ვინ იცის, რაკი ხმალხანჯრაობა გახდებოდა, ვინ ვის აკუწავდა და დააწყობდა გზაზე ნაჭერ-ნაჭერ: ფშატაძე სატრფოს, თუ სატრფო „სატრფოს“? ჯერ-ჯერობითაკი, სიმართლე რომ ვსთქვა, ფშატაძე მოდიოდა გზაზე ნაჭერ-ნაჭერ დაჭრილი, როგორც

ნაჭერ-ნაჭერ ღრუბელ მოდის
მაღლა ცაზედაო.

ხომ გაგიგონიათ ოჰანეზას სიმღერა! სწორედ ისე.

—

მიდის ფშატაძე და იცის კიდეც, საცა უნდა მოძებნოს იგი ბეთლემის ვარსკვლავი, მაგრამ აქ ერთი დაბრკოლება იჩენს თავს და უქენჯნის გულს: ჯიბეში თაგვები თამაშობენ; ფული არა აქვს იმდენი,—ისაუზმოს, ასე უცბად ნაცნობიც არავინ შეხვდება, საუზმეზე დაიპატიჟოს. მაშ რა ჩიელმა ტფილისის ხმოსნისამ ვერ გადალახა თერმოპილი.

„ვსთქვათ, ერთს წილს კრებისას სურს საგნის გადადება დროებით და მეორე წილი სრულიად უარს ჰყოფს საკამათო საგანს, მაგრამ გვიბრძანეთ ერთი: რისთვის უნდა იქნას გადადებული ეს საქმე ან უარ ყოფილი?!“ იკითხა თავმჯდომარემ საბჭოსამ. მთელი კრება მდუმარებს ამ უეცარის საკითხის წინაშე და, ერთ წამს წინად წახალისებულნი ქალაქის ხმოსანნი, თავ-ჩაღუნულნი რჩებიან და არიციან რა ჭქნან, ჭო სთქვან, თუ არა.

ამ სახით თავმჯდომარე იძულებული შეიქნა როგორმე გამოეყვანა საბჭო ამ უცნაურის „ჭოარაობისაგან“.

რად უნდა მომხდარიყო ამისთანა საქმე? ჩვენის ფიქრით, საგანი ან ვერ იყო გადასაწყვეტად და ყენებული როგორც რიგია, ან თვით საბჭოს საგნისთვის გულწრფელად თვალი ვერ გაუსწორებია. ერთიც და მეორეცა, რაც გინდ ბრძანეთ, საკვირველი ამბავია.

მეველე

ახალი ამბავი

—

*** ტყიბული: 16 ნოემბერს ტყიბულის რკინის გზის შტოზე ჩამოწვა მიწის ზვავი, როცა საქონლის მატარებელი მოდიოდა, და 5 დაუხურავი ვაგონი დააზიანა.

*** ბაქო: 16 ნოემბერს, დილით, შავ ქალაქში ჩავარდა ვაგონ ქვეშ რკინის გზის მოხელე ნიკ. ივანოვი. ვაგონმა მოხელეს მარჯვენა ხელი მოსწყვიტა.

*** ალექსანდროპოლი: 16 ნოემბერს რამდენიმე ყუთი სამანუფაქტურო საქონელი უნდა მიეღო რკინის გზას. ერთს ყუთში რაღაცა მორახუნობდა. გახსნეს და ქვები კი აღმოჩნდა. ეს საქონელი ერევნიდამ იყო გამოგზავნილი და ნიჟნი-ნოვგოროდს უნდა გაგზავნილიყო.

*** ყვარელი. საერო სკოლების ინსპექტორმა ბ-მა პავლოვმა გაჰმართა კრება მასწავლებელთა ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებელში. მოწვეულ იყვნენ ენისლის, საბუეს და შილდის მასწავლებელნი; კრებას დაესწრო აგრეთვე ენისლის სკოლის სამღთო სჯულის მასწავლებელი, მღვდელი ს. ჯაჯანიძე. ინსპექტორის წინადადებით, ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებლის მმართველმა, დ. დუმბაძემ და მასწავლებელმა ა. როგიტაშვილმა დაიწყეს სწავლება შეგირდებს. შემდეგ მასწავლებელთა კრებამ ინსპექტორის თავმჯდომარეობით განიხილა, რამდენად კარგად ასწავლეს იმ დღეს შეგირდებს ზემოხსენებულმა მასწავლებლებმა. საერო სკოლის ინსპექტორი ბ-ნი პავლოვი აპირებს გაჰმართოს ასეთივე კრება ყვარლის ორ-კლასიან სასწავლებელში მერმისაც, მაისში, ხოლო კრებაზე მოწვეულ იქმნებიან არა მარტო ახლო სკოლების მასწავლებელნი, არამედ მასწავლებელნი მთლად თელავის მაზრისანი.

*** იქიდამვე: ყვარელში აპირებენ წიგნთ-საცავის დაარსებას. თხოვნა უკვე მიართვეს თელავის მაზრის უფროსს, ტფილისის გუბერნატორთან წასადგენად. იმედია, რომ ნებართვა ამ ცოტა ხანში მოგვივა.

*** ზუგდიდი: ამ დღეებში დასჭრეს სასიკვდილოდ ხანჯლით ზუგდიდს ახლო სოფელში ერთი ყმაწვილი

ფელეტონი

სოფლის სურათები

გახსოვსთ, მკითხველო?.. იქნება არ გახსოვდესთ?!. ვინ უნდა გვახსოვდესო? იკითხავთ. ვინა და ჩვენი ფშატაძე, კნიაზ ფშატაძე, რომელსაც ღამე გაეპარა თავისი საყვარელი, სათაყვანებელი, ერთის სიტყვით, მთელი მისი სიცოცხლე, ძილი და სიზმარი, სასმელი და საჭმელი, მთელი მისი სარჩო-საბადებელი, პაპიროზზე უტკბესი,—მეუღლე ჯულეტა. ისიც ხომ გახსოვსთ, მგზავრებმა რომ უთხრეს კოჭლსა მერანსა ზედა მჯდომარე რაინდს: „ვნახეთ, ქალაქისაკე ცხენს მიაქროლებდაო“. თუ ეს გახსოვსთ, სხვა თქვენგნით მე არაფერი მინდა, დანარჩენს მე მოგახსენებთ...

დიალ, ეხლა მიჰხვდა და დარწმუნდა ფშატაძე, რომ ჯულეტა აღარა ხუმრობდა,—ამოურეცხია გულიდამ ფშატაძის სიყვარული, ანუ უკედ

რომ ვსთქვათ,—ამოუგდია გულიდამ, თითქოს ბოლოკი იყოს, და გადაუგდია. სწორედ ჯვარზე იყო გაკრული ფშატაძის თაკ-მოყვარეობა. არ იცოდა, როგორ დაესაჯა ის უნამუსო, ის ღვთისრისხვა დედაკაცი. რა მოაგონებდა ფშატაძეს, თუ მართლა არ ეყვარებოდა იგი ჯულეტას თავგამოდებით; რა მოაფიქრებდა, თუ მის გულში ერთ-ორს თთვეზე დაბერდებოდა სიყვარული,—ასე თავს ლაფს დაასხამდა, ასე შეარცხვენდა ტოლამხანაგებში! არ მოაგონდებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ეს არმოსაგონებელი ამბავი ყველას მოსაგონებლად გახდა.

ფშატაძეს ყელში სისხლი ჰქონდა მობჯენილი, ხელი ხანჯრის ტარზე ედო. ჰფიქრობდა: თუ მოვეწიე, უნდა ავკუწო ნაჭერ-ნაჭერ, ეს ნაჭრები დავაწყო გზა-გზის პირად, რომ ყველამ ნახოს და ყველამა სთქვას: მალადეც ბიჭო, რომ უნამუსო დედაკაცს უნამუსოდ დაჰხვედრიხარო. ჰო, თუ მოსწეოდა, მაგრამ რას მოეწეოდა: მანამ ფშა-

... ფშატაძემ? აი უმთავრესი საკითხავი, სატრფოს ძიებაზე აღმატებული. აქაც გამოჩნდა იმედი, ღმერთი არ მოიძულებს, არ დაჰკარგავს თავის გაჩენილს ადამიანს: ცხენი და ცხენის მორთულობა ხომ აქ არის, გაივლო გუნებაში ფშატაძემ და სახე გაუნათლდა, გული აუთამაშდა. ოცი თუმანი ცხენის მორთულობაში მიმიცია—ხუთ თუმნად როგორ ვერ უნდა გავყიდო; ოცდა ათი თუმანი ცხენში — თუნდ მკვდარიც იყოს, ოთხივე ფეხებიც დამტვრეული ჰქონდეს, ორ თუმანს როგორ არავინ მომცემსო. ფიქრობს ამას ფშატაძე და თათ-თან აღტაცებაში შედის, ვითომ შვიდი მილიონი უშოვნია, რაკი შვიდ თუმანს აიღებს. უჯავრდება ცხენს, მიეჩქარება ბიყეზე. აგერ ბიყეც. ჩამოხტა ფშატაძე ცხენიდამ და დადგა ერთ ადგილას, საცა სხვებიცა ჰყიდდენ ცხენებს, თუ საქონელს, დადგა და ცოტა არ იყოს ეხამუხა აქ დგომა, ეშინოდა, ნაცნობი არავინ გამოსჩენოდა. უნდოდა ჩქარა

გაესაღებინა ეს უკანასკნელი თავისი ავლა-დიდება და გამქრალიყო აქედამ.

დალალ-ბიჭებმა ფშატაძეს მალე თვალი შეასწრეს, გაიგეს საქმე რაშიც იყო, ხელად ერთმანერთში ზავი შეკრეს, რა ფასადაც უნდა ეყიდათ ცხენი და მისი მორთულობა. შემოერტყნენ გარს ფშატაძეს.

— კნიაზ, ეუბნება ერთი.

— რაო? უპასუხებს ფშატაძე.

— ვა, დალოცვილო, რაღას ჯავრობ?—ეშველება ამხანაგს მეორე დალალი.

— ვჯავრობო? მაშ არა და შენმა მზემ „ჩესტს“ გაგიკეთებ, თუ არ დაგიშლია!..

— სუსკაწ, მულავ-ტო! უტევს პირველი დალალი ამხანაგს.

— ცხენს ჰყიდი, კნიაზო? მაჭ სულელს რომ ყურს უგდებ, დალოცვილო!

— ვყიდი, ამბობს ფშატაძე.

— თავის უნაგრიანად?

— სწორეთ. როგორც უყურებ

კაცი, გვარად ჯ—ხია, რომელიც იქ ერთს აზნაურიშვილთან იყო მოწვეული ქორწილში. ყმაწვილი კაცი მეორე დღესვე გარდაიცვალა ზუგდიდში.

*** სოფ. ბაგურციხე. (სიღნაღის მაზრა): ახლა-კი გამოირკვა, რომ ნაკლები მოსავალია წელს ჩვენსკენ ჭირნახულისა. ეხლავე აიწია ფასმა: პური სამათა და ათ შაურად, ოთხ მანათად ფასობს კოდი, ქერი—თორმეტ აბაზად, სიმინდი ორ მანათად. ცხადია, რომ ამის შემდეგ თან და თან თუ არ მოიმატებს, აღარ დაიკლებს ფასები.

სასიამოვნო ამბავი ჩვენსკენ ის არის, რომ ჭაჭა-თხლეს აღარ ჭყიდიან და თვითონვე ჰხდიან არაყს. სოფელი არ არის, რომ რამდენიმე ქვაბი არ ედგათ. გლეხებს გარდა, თავად-აზნაურნიც მისდევენ ამ საქმეს.—ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო.

მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის გუბერნიის სკოლა დარჯთა ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი განსუკიჩი და თელავის მაზრის უფროსი გვარდიის პოლკოვნიკი თავადი ჩოლოყაშვილი დანიშნულ იქმნენ ერთი მეორეს ადგილზედ.

დამაკვირდი

პოეზია მუსიკაა სულისა.

ვოლტერი

**

ათასი საშუალება აქვს კაცს ადამიანს ამა ქვეყნად იცხოვროს კანონის დაუმტვრევლად.

სტალი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

კიდევ ბევრსა სცდილობენ ინგლისის ფლოტის გაძლიერებაზედ. გაზეთი Times-ი ამბობს, ასი მილიონი გირვანქა სტერლინგიც რომ დაგვჭირდეს წელიწადშიო (ერთი მილიარდი მანათი), მაინც არ უნდა დავიშუროთ, ოღონდ-კი პირველობა არ დავკარგოთ ხმელთა შუა ზღვაზედაო.

გაზეთ Pall Mall-Gasette-ში სწერია:

ამ სამოცის წლის წინად ხონთკარი მაჰმუდი პირობით შეეკრა რუსეთს. პირობის ძალითაც მხოლოდ რუსეთის ჯემებს შეეძლოთ დარდანელზედ გავლა. ეს ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ოსმალეთმა თავის სამარადისო მტერს ჩააბარა თავის სამფლობელო ზღვის გასაღები, გაუქმებულ იქმნა ინგლისისა და საფრანგეთის თხოვნით. ეხლა რუსეთი კვლავ სცდილობს ხელშეკრულობის უფლება აღიდგინოს. რუსეთი აშკარად არ აცხადებს, სტამბოლის დაპყრობა მინდაო, ხოლო ხმელთა შუა ზღვაზედ ესკადრის გაგზავნით ისეთს პოზიციას დაიპერს, რომლის შემწეობითაც სტამბოლის დაპყრობა შესაძლებელი შეიქმნება. როგორც უნდა მოიქცეს რუსეთი, პირ-პირ დაეცემა ბოსფორსა და დარდანელს, თუ ნელნელა ალყას შემოარტყავს, სულ ერთი და იგივე შედეგი მოჰყვება იმას. მარტო ხონთკარს არ შეუძლიან წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთს და ვერც გაჰბედავს, თუ ერთერთი ზღვაზედ ძლიერი სახელმწიფო არ დაეხმარა. თუ რომ ომი გამოცხადდა და სწრაფად არავინ მიეშველა, აბდულ ჰამიდი შეიხსნის თავის ხმალს და გაიქცევა, ვგონებთ, ბრუსსაში. იქ იცხოვრებს იმ დრომდე, ვიდრე არაბნი არ აჯანყდებიან, ექსორიად არ ჰყოფენ ხონთკრად ნამყოფს და ო' მანთა საქალიფოს სრულიად არ დააქცევენ. ინგლისს შეუძლიან სტამბოლის ტახტზედ შეურყეველად ამყოფოს აბდულ ჰამიდი, ხოლო თუ ეს თავის დროზედ არ შევასრულეთ იარაღით ხელში, მაშინ სჯობია და კეთილ-გონივრული პოლიტიკაც მოითხოვს, რომ პირობა შევკრათ რუსეთთან, რომელმაც უნდა იკისროს ევროპიელთ მაგიერ დარაჯად დადგეს და ნეიტრალიტეტი დაიცვას. სხვა სიტყვით რომ ვსთქვათ: ჩვენ უნდა ავაფეთქოთ ოსმალეთის ბატარეები და მთელს ქვეყნიერობას გავუღოთ კარი დარდანელისა, ბოსფორისა და შავის ზღვისა.

წერილი ა. ხახანიშვილისა ამიერკავკასიის მკვიდრთა და ტომთა შესახებ

(გაზეთ Русс. Вѣд.-დგან)

ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ბ-ნ ა. ფორტუნატოვის წერილის გამო „კავკასიის მცხოვრებნი“ (Русс. Вѣд. № 306). პატივცემული ავტორი ამ წერილისა ამბობს, რომ კავკასიის მცხოვრებთ 35 ტომი შეადგენსო. ეს აზრი დამყარებულია „კავკასიის საოჯახო სიებიდგან ამოკრებილ სასტატისტიკო ცნობათა კრებულზედ“. ამ გვარად ასეთი სიმრავლე სხვა-და-სხვა ტომთა სულ ხუთ გუბერნიასა, ორ ოლქსა და ორ პატარა მხარეში ზოგიერთს უწინდელივით აფიქრებინებს, ვითომ კავკასიაში „ჭიანქველებივით ირევიან ერნი“ და ეს მხარე „მთა ენათა“ არისო, როგორც ამბობდნენ კავკასიის ისტორიკოსნი. საქმე-კი მართლა ასე როდია. ეს სი რავლე სხვადა-სხვა ტომთა მხოლოდ იქიდან წარმოსდგა, რომ კავკასიის მცხოვრებთ სრულიად უსაფუძვლოდა ჰყოფენ სხვა-და-სხვა ტომად. აი ერთი მაგალითი. დაყოფა კავკასიის მცხოვრებთა ასეთ ტომებად: ქართველები: იმერლები, გურულები, ფშავლები, ხევსურნი და სხვ. სრულიად მოკლებულია ეთნოგრაფიულს საფუძველს. ყველა ეს ტომნი შეადგენენ ერთს ერს და ყველანი ერთს ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ. ჩამოთვლილ სახელებს მხოლოდ საპოლიტიკო ან სატერიტერიო მნიშვნელობა აქვს: მაგალითად, იმერლები არიან ქართველები იმერეთის სამეფოსი, გურულები — სამეგრელოს სამთავროსი, ფშავნი და ხევსურნი არიან ქართველნი მთიულნი, რომელნიც სცხოვრობდნენ მიუვალ მთიან ადგილებში და ამიტომ არ დაემორჩილნენ ძველ საქართველოს ფეოდალებსა და დაიცვეს თავისი თავისუფლება. სწორედ ამის გამო აირია ცნობანი კავკასიის გვარ-ტომობის შესახებ და ამიტომ დაიწყეს ცალკ-ცალკე აღრიცხვა ქართველებისა, რომელნიც დაჰყვეს სხვა-და-სხვა ტომებად: ქართველები (18,11%), იმერლები (9%) გურულები (1,62%), თუშნი (0,12%) ფშავნი (0,20%) ხევსურნი (0,14%) მთიულნი (0,05%) ინგილონი (0,19%) აჭარელნი (1,26%) სვანები (0,29%) მეგრელნი და ლაზები (4,57%). ასე თუ გავსაჯეთ, შეიძლება კიდევ ჩამოვთვალოთ სხვა ტომებიც: კახელები, ზემო ქართლელნი ანუ მესხნი, ქვემო ქართლელნი და სხვ.

თუ ისეთ საფუძველზედ დავამყარეთ დაყოფა კავკასიის ტომთა, როგორიც არის, მაგალითად, სარწმუნოება ანუ მცხოვრებთა მიწა-წყალი—კიდევ სხვა ტომებიც აღმოჩნდება: ინგილონი, რომელთაც მუსულმანობა მიიღეს, მთიულნი, რომელნიც მთაში სცხოვრობენ და აჭარელნი, აჭარის-წყლის ხეობაში მცხოვრებნი. კავკასიის ეთნოგრაფიული ნომენკლატურა უიმისოდაც არეულია და ამიტომ სრულიად არ არის საჭირო გამრავლება ეთნოგრაფიულის ტერმინებისა, რომელთაც აღგილი ჰქონდათ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სამეფო იყო. კავკასია უამისოდაც საყურადღებო საეტნოგრაფიო კალეიდოსკოპს წარმოადგენს.

რუსეთი

რუსულ გაზეთის Русь-ის რედაქტორს თავად მეშჩერსკის ნება მიეცა ჰბეჭდოს გაზეთი იმ პირობით, რომ ცენზორს დაბეჭდვის შემდეგ წარედგინოს ხოლმე განსახილველად.

—

პეტერბურგის გრადონაჩალნიკსა ჰქონდა უფლება მინიჭებული, რომ განსაკუთრებულ გარემოების გამო ნება მიეცა ებრაელთათვის დროებით პეტერბურგში ცხოვრებისა. ეხლა ამ ნაირი ნებართვის მიცემა მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან, და თხოვნებიც იმას უნდა მიერთვას.

პეტერბურგის თავად-აზნაურობა ნოემბრის დამლევს საფრანგეთის ელჩის პატივსაცემლად სადილს გაჰმართავს თავად-აზნაურთა კლუბში.

—

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება ჰმართავს უფასო სასადილოს 300 ადამიან სტუდენტისთვის.

—

25 ოქტომბერს ვაატკაში კრება იყო მეურნეთა, რომელთა შორის წასწავლი აგრონომებიც იყვნენ. საგანი კრებისა:

1, რა პირობით შეიძლება კრედიტი მოეწყოს მეურნეთათვის;

2, ბალახეულის თესვა გლეხთა მინდვრებზედ;

3, სათაბთა გაუმჯობესება;

4, სრიოზ ადგილების გამოყენება;

5, საუკეთესო საშუალება მიწის გასაპატიჟებლად და კარგად პატეიი.

6, რა შედეგი აქვს გლეხთა ნადელების დანაწილებას?

7, საქონლის მოშენების საქმის განკარგება და მოსავლის მომატება ამ ადგილებში, სადაც საკვები უსაფასოდ არის;

8, განკარგება სამუშაო ცხენის ჯიშისა;

9, ღონისძიება ტყის გაჩეხვის წინააღმდეგ და საშუალებანი ტყის ახლად გაშენებისა;

10, გაშენება ტყეებისა და გამაგრება ნარტვებისა;

11, უსარგებლო ბალახის მოსპობა.

და 12, სახნავ მიწის საუკეთესო შემუშავება და ნიადაგის განკარგება.

„ამ რიგად მთელს პროგრამმაში არც ერთი საშვალება არ არის დასახელებული გლეხთა მეურნეობის განსაკარგებლადაო,—ამბობს გაზეთი Рус. Жизнь. ვერ გაგვიგია, როგორ დაჰვიწყებია ეს საგანი ისეთ კრებას, რომელიც სპეციალისტებისაგან შესდგება და არა რომელისამე წოდების წარმომადგენელთაგანაო».

უცხოეთი

ინგლისის გაზეთები იუწყებიან სულ სხვა-და-სხვა და ერთმანერთის წინააღმდეგ ცნობებს ინგლისსა და ავღანისტანს შორის ხელშეკრულობის გამო.

ეჭვი არ არის, რომ ემირი დასთანხმდა ინგლისის ზოგიერთ პირობებზედ და ინგლისმაც სამაგიეროდ მოუმატა პენსია ემირს. ეხლა ერთ მილიონ მანათის მაგიერ, წელიწადში მილიონ-ნახევარი უნდი აძლიოს. მიუხედავად ამისა, ინგლისის მთავრობა არც თუ ძლიერ ენდობა თავის მოკავშირეს, ავღანისტანის ემირს. ლორდ ელჯინის პატივსაცემლად გამართულ სადილზედ ლორდმა როზბერიმ სთქვა სხვათა შორის: „თუმცა საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, ინდოეთის საზღვრების საქმე ამიერიდგან აღარ შეგვაწუხებსო, მაგრამ თვით მე ამ აზრისა არა ვარ და ეს საქმე ძლიერ მაფიქრებს“.

—

ავსტრი-უნგრეთი. მინისტრ-პრეზიდენტმა ვინდიშგრეცმა პარლამენტში წაიკითხა პროგრამმა ახალის მთავრობისა. პროგრამმაში ნათქვამია, რომ მთავრობასა სურს პარლამენტში ადგილი მისცეს მდაბიო ხალხსა, რომელსაც ჯერ თავისი წარმომადგენელი ყოლია.

ასე.

— როგორ, კნიაზ-ჯან? ეგ ფეხი მომტვრეული ჰქონია,—ძლივს ადგამს ფეხსა?!

— მოტეხილი-კი არა აქვს, ნაღრძენია.

— კარგი, რაც არის-არის. რა გიბოძოთ?

— სწორეთ ათი თუმანი.

— წამო, მოშორდი, ხეირი არ არის, იცინის მეორე დალალი. სამფეხა ცხენი არ იყიდო, ოთხ-ფეხა აღარ იშოვება?!

— მე მინდა, კოხტად მატაროს—და! ხვალ კახეთში მიდივარ. იქიდამ რომ დავბრუნდები, დავკლამ. ხორცს მე ვჭამ, ტყავს დაბახანაში მივცემ.

ფშატაძეს თითონაც ხუმრობა უყვარდა და სხვა დროს ბევრს იცინებდა, მაგრამ ეხლა სიცილის დრო არ იყო.

— ჰა, თუ ჰყიდულობ იყიდე, თუ არ გინდა, სხვა მუშტარიც ბევრია-ო, ეუბნება დალალს ფშატაძე: მეჩქარება, საქმე მაქვს.

— გეჩქარება, დალოცვილო, მოპარული ხომ არ არის, ეუბნება დალალი, სწორე ფასი ბძანე.

— სწორეთ ეგ არის. ნაკლებ-ღა შეიძლება? ცხენში ოც-და-ათი თუმანი მიმიცია, ოცი თუმანი რახტში და უნაგირში,—ღმერთი არა გაქვს?

— პაპაჩემს ხუთ გროშად მოგართმევ, შენი იყოს, აგერ მახათაზე ჰმარხია, ეუბნება დალალი. სწორედ სამ თუმანს მოგართმევ. სთქვა ეს დალალმა და დაემზადა წასასვლელად. ფშატაძეს გული აუფანცქალდა.

— აქ მო, ოხერო, მოდი აქ, ეძახის ფშატაძე, მოპარული ხომ არ გგონია, მარტო ნაღდი ვერცხლი და ოქროა ათი თუმნისა...

ფშატაძემ ზოგი ავით, ზოგი კარგით, როგორც იყო ცხენი უნაგრიანად გაყიდა ოთხ თუმნად და სჩქაროდ გაჰქრა რიყიდამ.

—

დიაღ, ფშატაძე მიდის იქ; იქ არის მისი გულის მომკვლელი, მისი ბედნიერების დამამხობელი, მაგრამ ჯერ იქ ვერ მივა, რადგანაც ჰგოდებს კუჭი მისი, ჰგლოვობს მადა მისი, მაშასადამე ჯერ იმათი დაამება, დაკმაყოფილებაა საჭირო; ჯერ უნდა შეზარხოშდეს, რომ ყოჩაღად მივიდეს, ყოჩაღად შეჰხვდეს იმ ფლიდს, იმ ორგულს ადამიანს. აგერ სასტუმროც. შევიდა ფშატაძე. შევიდა თამამად, მამაცად, რადგანაც ფული აქვს ჯიბეში, არ ეშინიან, არცა სცხვენიან. მოიკითხა საუზე. იღბლად იქვე ზღმარტლაძე შეჰხვდა, ეს ზღმარტლაძე განუშორებელი სტუმარი გახლდათ ამ სასტუმროსი, მუდამ უფულო, მაგრამ მუდამ მთვრალი და მაძღარი იყო, რადგან სოფლიდამ ჩამოსულებს ყველას აქ უხვდებოდა, ყველას იცნობდა და ყველანიც იმას იცნობდნენ. ბაიათებს კარგად ამბობდა ზღმარტლაძე და ლათაიებიც ბლომად იცოდა. ამოუჯდებოდა გვერდით მოქეიფეთ და შეაქცევდა, იმას ფულს ვინ დაახარჯვინებდა, ან რას დაჰხარჯავდა, რომ ჯიბეში გროში არ მოებოვებოდა, თეთრ გიორგისთვის ერთი სანთელი დაენთო, რომ, ვინიცობაა მომხდარიყო, და პირველი წმინდა მკითხავის პირითაც შემოეთვალა. ზღმარტლაძე ფშატაძისა ძალიან მეგობარი იყო და ძალიან ბლომად ფულიც დაუკვნიტა. შეხვდნენ ერთმანერთს, მაგრამ ფშატაძე ის აღარ იყო, ერთს დროს რომ ენახა ზღმარტლაძეს.

— Что съ тобой? ეგ რა დაგმართნია? ღმერთმანი, ველარ მიცვნიხარ, სიკო, не здоровъ, что-ли?

— Потомъ разскажу все подробно, сначала позакусимъ не много. არ იცი, გიგუშა, არ იცი, სისხლი აქ არის მოსული.—სთქვა ფშატაძემ და ყანყრატოზე ხელი დაიდო. მოიტა, ბიჭო, არ გახსოვს რა გიბძანე?—შეუტია ფშატაძემ მოსამსახურეს.

ხელად ტოლი გაიმართა და დასხდნენ ნადიმად ეს ორი რაინდი, ერთი ქორი, მეორე შავარდენი, დასხდნენ, დალაგდენ და დაიწყეს ბჭობა. ფშატაძემ დაწვრილებით უამბო ზღმარტლაძეს თავისი და ჯულეტას ამბავი და რა დაასრულა, ჩაიკრა მუშტი გულში მაგრა და მერე სტოლზე დაახალა, ისე რომ ერთი ბოთლი გადავარდა და გატყდა.

— მე მოგიკვდე, გიგუშა, თუ იმისი ჯავრი შევსჭამო. Зарѣжу, непремѣнно зарѣжу. ახ, თუ ხელში ჩამივარდებოდა მე ვიცოდი.

— Такъ и слѣдуетъ; конечно нужно наказать эту дрянь. ღმერთმანი ის ცირკია, თუ რაღაც ჯანდაბა, სულ დავანგრევ. Ты, братъ, меня еще хорошо не знаешь! ერთი დაუტუტუნებ, ღმერთმანი, რომ თაგვის სოროებს ეძებდნენ ყველანი. სთქვა ეს ზღმარტლაძემ და მამაცურად, ვაჟკაცურად გადიტრიალა არაყის სმით დაწირპლული თვალები. ამა პირს რომ ასკვნიდენ, რასაკვირველია, თან ღვინოსაც უმატებდნენ, ბოთლი ბოთლზე მოდიოდა და იცლებოდა. ამ საუბარში იყვნენ ფშატაძე და ზღმარტლაძე, ვნახოთ, კიტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადგენელი არა ჰყავს. განზრახვა აქვს აგრეთვე, მთელი ძალ-ღონე მოანდომოს საფინანსო და საეკონომიო საქმეთა განხილვას, შესცვალოს წესდება ხარჯის აკრებისა, სასამართლოებისა, შემოიღოს რეფორმები მუშათა ზნეობრივისა და ქონებრივის მდგომარეობის განვითარებისათვის და მოსპოს ყველა ის, რაც ხელს უშლის სახელმწიფოს მშვიდობიანობას. შეერთებულმა დასებმა ხანგრძლივის ტაშის ცემით მოიხმინეს ეს პროგრამმა. ახალჩეხებმა ითხოვეს, ახალი პროგრამმა ეხლავე განვიხილოთო. პრეზიდენტმა ხლუმეცკიმ ამაზედ უარი სთქვა. გაისმა ხმები: „მაშ აი რა ყოფილა ეს ახალი თავისუფლებაო!“ და ასტყდა ჩოჩქოლი. უმრავლესობამ გადასწყვიტა, ძველ ჩეხს ფონდერლიკოს და ახალჩეხს გერალდს ლაპარაკის ნებას ნუ მივცემთო.

შემდეგ, როცა სეიმი მორიგ საქმეთა განხილვას შეუდგა, გერალდმა ხელთ იგდო დროდა სთქვა, საჭიროა პროგრამმა ეხლავე განვიხილოთო და ამტკიცებდა: ახალი მთავრობა, პოლონელთ გარდა, უარ ჰყოფს ყველა სხვა სლავიანთაო. გერალდს მხარი მისცეს ძველ-ჩეხმა ფონდერლიკმა, ანტისემიტმა ლუგერმა, ლაგრინმა და მიანკინმ. ყველა ესენი ძლიერ ეკამათებოდნენ ახალს მთავრობას. გერმანელ-ლიბერალთა დასის წევრი ჰეიდსბერგი და პოლონელი აბრაგამოვიჩი დასთანხმდნენ ახალ პროგრამის განხილვაზედ, ხოლო სთქვეს, ჯერ-ჯერობით ეს შეუძლებელი საქმეაო. უმრავლოსობამ გადასწყვიტა, პროგრამის განხილვა ჯერ-ჯერობით გადავდოთო.

—

ეგვიპტე. სუეზის სასანიტარო საადგურებზედ, მოსეს წყაროებთან საჭიროა რამდენიმე ნასწავლი მკურნალი, როგორცა სჩანს ეგვიპტის სასანიტარო და საკარანტინო საბჭოს განცხადებიდგან. ეს ადგილები შეიძლება მიეცეთ იმ მკურნალთ, რომელთაც დიპლომები აქვთ. უპირატესობა-კი იმათ მიეცემათ, ვისაც პრაქტიკულად შეუსწავლია ბაქტეროლოგია და ეპიდემიოლოგია.

ჯამაგირი პირველად 8,000 ფრანკი დაენიშნება თვითო ექიმს წელიწადში და შემდეგ თანდათან მიემატება 12,000 ფრანკამდე. უმთავრესს მკურნალს მიეცემა 12,000—15,000 ფრანკი წელიწადში.

მსურველთა თხოვნა მიიღება საკარანტინო საბჭოს მიერ 31 იანვრამდე 1894 წლისა (ახალის აღრიცხვით). განცხადებასთან უნდა წარადგინონ:

1, უნივერსიტეტისა ანუ სახელმწიფოს დიპლომი;

2, იმის მოწმობა, რომ ბაქტეროლოგია პრაქტიკულად აქვს შესწავლილი;

3, სხვა ქაღალდები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მთხოვნელს განსაკუთრებით აქვს შესწავლილი ეპიდემიოლოგია.

ეს განცხადება ხელმოწერილია საბჭოს პრეზიდენტის დოქტორ არდუენის-მიერ 2 ნოემბერს 1893 წელს ალექსანდრიაში.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

—

Рейхъ, М. д-ръ. Научно-популярная оптическая гигіена глазъ. Съ 11 рисунками въ текстѣ. С.-Пб. 1893 г. изд. К. Риккера.

ეს წიგნი ავტორის-მიერ დაწერილია მკურნალთა, მასწავლებელთა, სტუდენტთა და საზოგადოდ ყველა-განათებულ კაცთათვის. წიგნი თავის შინაარსით შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს: პირველში აღწერაა თვალის მოყვანილობისა, ფიზიოლოგია მხედველობისა, სწავლა შორს მჭვრეტელობისა და თვალთა ხილვის სისუსტის შესახებ სკოლებში. მეორე ნაწილში ავტორი დღის სინათლეზედა და ღამე განათების შესახებ ლაპარაკობს. იმ ნაწილში, სადაც სკოლებს ეხება ავტორი, დაწვრილებით არის აწერილი ის მოწყობილობა, რომელიც ბავშვებს თვალთა ხედვას უსუსტებს. შემდეგ ავტორი ადარებს სხვა-და-სხვა განათებას: ელექტრონით, გაზით, ნავთით და სანთლით.

წიგნში ჩართულია სურათები საჰიგიენო ლამპრისა სკოლებისათვის; ამასთან გამოანგარიშებულია, რამდენი ლამპარი უნდა იყოს ოთახში მის სიდიდის კვალობაზედ, ოთახის პლანი, როგორ უნდა ეწყოს მებელი კლასის ოთახში და რა რიგად უნდა იყოს განათებული.

თუმცა რამდენიმე ნაკლულევანება აქვს წიგნსა, ზოგი ალაგი გაუგებარიც არის, მაგრამ საზოგადოდ-კი დიდად საყურადღებოა და სასარგებლო.

ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲚᲘ

—

ფონტენელს სუსტი თვალები ჰქონდა და ხშირად ოთახში სანთელს არ ანთებინებდა. ერთხელ-კი სხვას ეწვია და სთხოვა, სანთელი აანთეთო.

— ეს რა ამბავია?—წამოიძახა ერთმა ახალგაზდა გასათხოვარმა ქალმა,—თქვენ ხომ სიბნელე გიყვართ?

— იქ არა, სადაც თქვენი დანახვა შეიძლებაო!—უპასუხა ფონტენელმა,

—

ერთი ახალგაზდა გასათხოვარი ქალი პირველად იყო თეატრში. ტრაგედიასა თამაშობდნენ. ერთი მომქმედთაგანი თავის მოკვლას აპირებდა სცენაზედ, რადგანაც ეგონა, ჩემი მეჯნური მომკვდარაო, და სწორედ ამ დროს ახალგაზდა ქალმა წამოიძახა: «დედილო, დედილო, უთხარით, რომ მისი საცოლე ცოცხალიაო»!

—

გამოუცდელი არტისტი ქალი ლონდონის თეატრში თამაშობდა. ლედი ამნას როლს ტრაგედია „რიჩარდ III-ში. აკი როლი დაავიწყდა, ველარ მოიგონა და გამწარებული გაიძახოდა:

— რა მეშველება, რა მეშველებაო?

— არაფერი არ გეშველება, თუ ჩემს ვალს არ გადიხდიო,—დაუძახა ერთმა მევახშემ პარტერიდგან.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

ამ დღეებში საფრანგეთში დაბეჭდა ახალი წიგნი ნაპოლეონ პირველის შესახებ, შემდეგის სათაურით: „ნაპოლეონი და ქალები“. ამ წიგნის ავტორს F. Masson-ს შეუკრებია მრავალი ცნობა შესახებ ნაპოლეონის მიერ ქალების სიყვარულისა.

**

იტალიის დედოფალი გასულ გაზაფხულსა და შემოდგომაზედ აგროვებდა საეთნოგრაფიო ცნობებს მონტენეგროს სამხრეთად მდებარე ადგილების მცხოვრებთა შესახებ. დედოფალი შრომობდა სპეციალისტთა დახმარებით და ეს საქმე ერთის საზოგადოების მიერ ჭქონდა მინდობილი.

ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

—

ქონისა ანუ ზეთის ლაქის ამოყვანა ტანთსაცმელიდგან. უნდა მოამზადოთ წამალი დამწვარ მაგნეზიისა ბენზინისაგან ამ რიგად: ღამბაქზედ დაჭყარეთ დამწვარი მაგნეზია და დასასხით იმდენი ბენზინი, რომ ცომსავით სქელად აიზილოს. ეს ცომი წაუსვიეთ დალაქებულ ადგილს და რამდენსამე ხანს დაუცადეთ, რომ ბენზინი სრულიად შეისვას ჭყარმა. მაშინ მშრალი მაგნეზია ტანთსაცმელს მოაშორეთ. თუ დალაქებული ადგილი ეტყობა, მაშინ კიდეკ უნდა წაუსვათ იგივე წამალი.

ეს წამალი სწორედ იმ დროს უნდა გაპეოდეს, როდესაც გინდათ წაუსვათ, რადგანაც ახალი წამალი კარგად ჭმოქმედობს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

15 ნოემბერი

თეირანი. მიწის ძვრით ქუჩაში დაიღუპა 12,000 ადამიანი და 50,000 პირუტყვი საქონელი. *).

16 ნოემბერი

მოსკოვი. დღეს ქალაქის მოურავმა რო ავიშნიკოვმა გამოუცხადა სპეჭოს, რომ გარდაცვალებულ ქალაქის მოურავს ალექსეევის მკვლელი ანდრიანოვი ოლქის სასამართლოში ცნობილ იქმნა ჭკუაზედ შეშლილად და პეტერბურგის შეშლილთა სადგურში დაუპატიმრესო.

ბერლინი. Nord Deutsche Allgemeine Zeitung იუწყება, რომ იმპერატორსაც ისეთივე „ჯოჯოხეთის მანქანა“ მოსვლია, როგორიც კანცლერს კაპრივის; მანქანა გამოგზავნილია ორლეანიდგანვე კვირას და მიღებულია იმპერატორის სამოქალაქო კაბინეტის მიერ; აქ მცირე შემთხვევამ ექვი აღძრა და ამიტომ მანქანას აღარ დააცალეს, რომ ეფეთქნა.

17 ნოემბერი

დუბლინი. იპოვნეს ორი ყუმბარა დინამიტისა. დაუპატიმრეს ასოთამწყობი შერიდანი, რომელსაც უპოვნეს ასაფეთქებელი წამლები; შერიდანის ამხანაგი კალატოზი რეიდი მოკლული იპოვნეს ქუჩაში; დააპატიმრეს კიდევ მედუქნე მირსი, რომელზედაც ექვი აქვთ, რეიდი ამან მოჰკლაო.

ბერლინი. ანცლერს გაგზავნეს „ჯოჯოხეთის მანქანასთან“ ერთად გამოუგზავნეს წერილი, რომელშიაც ნათქვამია: გიგზავნით ამასთანავე ახალ თვისების ბოლოკის თესლსაო.

ფლენსბურგი. **) ნავთ-სადგურთან ჩაიქცა ზღვის ყორეს ორი მესამედი და ერთი ნაწილი ქუჩისა; ნიადაგი კიდევ იქცევა ზარალი აუარებელია.

ლონდონი. გლადსტონმა სთქვა, არავითარი ცნობანი არა გვაქვს შესახებ იმისა, ვითომ რუსეთი სცდილობდეს ხმელთა შუა ზღვაზედ ნავთსადგური შეიძინოს; რუსეთის კრეისერმა დარდანელი გაიარა მეორე კრეისერის სამაგიეროდ, რაიცა არა ერთხელ მომხდარა; თუ რომელსამე სახელმწიფოს უფლება მიეცა დარდანელზედ გავლისა, მაშინ ასეთსავე უფლებას ინგლისიც მოითხოვს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

	მეიდდგლ ოსა.	გამყიდველისა	გამყიდველისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,65	7,65	— ,,
ტამოჟნის კუპონები	152¾	153½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	245⅝
—მეორისა . . .		— ,,	222½
4% მესამე სესხისა. .	-- ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190¾
გირაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	100	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	100	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97½	— ,,	— ,,

(*) ეს დეპეშა დროზედ არ მოგვივიდა და გუშინ იმიტომ არ იყო დაბეჭდილი.

**) ეს ქალაქი შლეზვიგ-ოლბტინისაა და ახლოა პრუსიის საზღვართან. მცხოვრებთა რიცხვი 40 ათასამდეა.

რაძეც შემოვიდა ნაბად წამოსხმული, ჩერქეზულად გამოწყობილი, კაი ძმა და მეგობარი ფშატაძისა.

— საიდამ, ოხერო, საიდამ გაჩნდი, სხვა როგორა ხარ? ჰოი, შენი სარჯულავი-კი დაიქცა, რა ერთი ხანია აღარ მინახვიხარ, უთხრა ფშატაძემ კიტრაძეს. წაავლო კისერში ხელი და ალერსიანად დააჭანჭყარა. კიტრაძემაც მოიხსნა ნაბადი და ამოუჯდა იმათ გვერდზე. ზღმარტლაძეს არ მიჰსალმებია, რადგან დღეში ოცჯერ მაინც ჰნახავდა. ასე გაკეთდა „ტრიუმვირატი“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, შეიქმნა თათბირი ტარიელისა, ავთანდილისა და ფრიდონისა ქაჯეთის ციხის აღებაზე და მის მზისა ჯულეტას ქაჯთა ხელიდამ დახსნის თაობაზე. სამნი გმირნი შეზარხოშებულნი, კვალად და კვალად წითლის ნუნუას მყლაპელნი დანდათან აღტაცებაში მოდიოდნენ, აქვე მზად იყვენ ხელად გაემართათ აბჯარ-აბგრის ტრიალი, რის გამოც მსახურმზრუნველნი სასტუმროსი ერთი-მეორეს ეფარებოდნენ, აქ ღმერთი არ გაუწყრეს და ჩვენ არ დაგვერივნენო, რის გამოც ღმერთსაცა სთხოვდენ მხურვალე ლოცვით: დაამშვიდე, მეუფეო, გული მაგათი მღელვარე და გონება თავთა მაგათა შინა მდებარე, მიეცი იმდენი ფიქრი, რომ ჩქარა გაათაონ პურის ჭამა და ჩქარა აიფხიკნენ აქედამო. კიტრაძისა უფრო დიდი იმედი ჰქონდა ფშატაძეს, რადგან ტფილისში ის პირველ „სკანდალისტად“ ირიცხებოდა. პირობა იმათ ისე დაასკვნეს, რომ ეშოვათ იმათ კიდევ რამდენიმე ძმა კაცი და პირდაპირ დასცემოყვნენ ცირკსა, ამ ქაჯეთის ციხეს, —აეკლოთ, დაენგრიათ, მიელეწ-მოელეწათ, ძირიანფოჩიანად და გამოეყვანათ იგი მზე.

შუა დღე კარგად გადავიდა, რომ მაშინ-ღა ადგნენ კარგად მთვრალები, ტანს ველარ იჭერდნენ და გამომზევდენ, რათა სუფთა ჰაერი ჩაეყლაპათ და ამალაც შაედგინათ ტანტალამტკეპნელაძეებისა. ქუჩაზე რომ მოდიოდენ, ერთი დუქნის კედელზე მიკრული ცირკის განცხადება, ნახა ფშატაძემ და ამოიკითხა თავის მზის სახელი და გვარი; დღეს ჯულეტა წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებდა და იმასაც ის უნდოდა.

განაძრახეს მართლაც ყველა ძმაკაცები, ვინც-კი ხელში მოიგდეს. ბევრს ბევრი და დიდი პატივის ცემა მოუნდებოდა, ფშატაძე ამას ვარაუდობდა და ამიტომ ათს კაცს დასჯერდა. შეატყობინა იმათაც საქმის გარემოება, რის გამოც ისინი შეიარაღდნენ აბჯარ-აბგრით.

დიაღ, შეკრბნენ ყოველ მხრით გმირნი. ამ გმირებს ჯერ გამასპინძლება უნდოდა, რასაკვირველია, მაშრა გიჟები იყვნენ, მუქთად ხათაბალაში თავი გაეყოთ. ფშატაძემ შეიპატიჟა ერთს „სარდაფში“, სადაც ღვინის სუნი უსმელადაც-კი დაათრობდა კაცს და თავისებურად „შახიანად“ გაუმასპინძლდა, რის გამოც იქიდამ რომ ადგნენ, ფშატაძეს ჯიბეში ორი შაური-ღა გამოჰყვა თან, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, რაღაც ტიმრეს კიდევ მედუქნე მირსი, რომელზედაც ექვი აქვთ, რეიდი ამან მოჰკლაო.

ბერლინი. ანცლერს გაგზავნეს „ჯოჯოხეთის მანქანასთან“ ერთად გამოუგზავნეს წერილი, რომელშიაც ნათქვამია: გიგზავნით ამასთანავე ახალ თვისების ბოლოკის თესლსაო.

ფლენსბურგი. **) ნავთ-სადგურთან ჩაიქცა ზღვის ყორეს ორი მესამედი და ერთი ნაწილი ქუჩისა; ნიადაგი კიდევ იქცევა ზარალი აუარებელია.

ლონდონი. გლადსტონმა სთქვა, არავითარი ცნობანი არა გვაქვს შესახებ იმისა, ვითომ რუსეთი სცდილობდეს ხმელთა შუა ზღვაზედ ნავთსადგური შეიძინოს; რუსეთის კრეისერმა დარდანელი გაიარა მეორე კრეისერის სამაგიეროდ, რაიცა არა ერთხელ მომხდარა; თუ რომელსამე სახელმწიფოს უფლება მიეცა დარდანელზედ გავლისა, მაშინ ასეთსავე უფლებას ინგლისიც მოითხოვს.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

	მეიდდგლ ოსა.	გამყიდველისა	გამყიდველისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,65	7,65	— ,,
ტამოჟნის კუპონები	152¾	153½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული . . .	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	245⅝
—მეორისა . . .		— ,,	222½
4% მესამე სესხისა. .	-- ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190¾
გირაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	100	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	100	— ,,	— ,,
5%	— ,,	99	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	97½	— ,,	— ,,

(*) ეს დეპეშა დროზედ არ მოგვივიდა და გუშინ იმიტომ არ იყო დაბეჭდილი.

**) ეს ქალაქი შლეზვიგ-ოლბტინისაა და ახლოა პრუსიის საზღვართან. მცხოვრებთა რიცხვი 40 ათასამდეა.

დალოცვილი, კურთხეული ანგელოზი ჩასჩუჩუკებდა გულში: «ფულები მოვაო»! იმედი მაინც კარგი საქონელია, როცა გულში ღვინის და კაცს იმას ჩასძახის, რაც შეუძლებელია და მოუხერხებელი გარემოების წყალობით. იქაც კარგად გადაჰკრეს და კარგადაც შემოლამდა. რაც ამ ქეიფის დროს ვაჟკაცობისა და გმირობისა ითქვა, ის საგულისხმოდ დარჩეს: ვინ რა ვაჟკაცობის გამოჩენას ჰპირდებოდა ფშატაძეს მომავალის ბრძოლისათვის და ვინ კიდევ წარსულ საქმეთა მამაცობას იხსენიებდა... წავიდნენ, წინ ფშატაძე მიუძღვებოდა. ფშატაძემ განაძრახა ამხანაგნი თვისნი, რომ ბრძოლა, პირველი დაცემა «ქაჯეთის ციხეზე» «კულისებიდამ» დაეწყოთ; ჯერ «კულისები» აეღოთ, შემდეგ დანარჩენი ნაწილი გადმოებრუნათ ძირიანად...

პირობა ასრულებულ იქმნა, მაგრამ ვაი ამისთანა პირობის ასრულებას: ქაჯთა სიმრავლემ დასთრგუნა მხნეობა და სიმკვირცხლე, სიმამაცე გმირთა, თავს დასხმამ თანაც პოლიციისამ შეაყენა მოძრაობა მკლავთა და ხმალთა მათთა; თვით ჯულეტა მოუძღვა წინ ქაჯთა ხმალ-ამოწვდილი. ნესტანი თურმე დიდიხანია თავისუფალი ყოფილიყო ტ სატრფოს მის ფშატაძეს ეს არა სცოდნოდა. ჯულეტამ შემუსრა მხსნელნი თვისნი. თავის მზეს, რომელსაც ერთს დროს ისე შესტრფოდა, რომ გამოეპარა კიდეც, ფეტვივით აყრიდა ამ სიტყვებს ბრძოლის დროს: „კტო ტი ტაკოი, ჩტო ტებე ნადა, დურაკ, ბალვან და სხვა“. ცოლი ხარ ჩემი, ჩემთან უნდა იცხოვროვო, ეუბნებოდა ფშატაძე, მაგრამ ჯულეტამ საქვეყნოდ აღიარა: პირველად გხედავ, ვერც-კი გიცნობ, ვინა ხარო...

საქმე დასრულდა უგემურად: პოლიციელთა და მცველთა ქაჯეთის ციხის კართა და კლიტეთა შეიპყრეს იგი გმირნი ერთობრივ და წარტყვევნეს ადგილსა მას, რომელსა სახელი ეწოდების „უჩასტოკი“.

რაც მერე მოხდა, შემდეგისათვის დარჩეს.

ვაჟა-ფშაველა

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

იძლევა ქირით ღვინის

სარდაფი

(პადვალი)

ლ

ნავთის საწყობი

მეორე თუმანიანთ ქუჩა № 1.

(2—1)

გბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—124)

გამოსადეგი ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეული ეგანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ ბროტასევიჩი, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეზურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გული-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანტიუსი, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ОТЪ КОНТОРЫ РЕДАКЦІИ

„ЕНЦИКЛОПЕДИЧЕСКАГО СЛОВАРЯ“

БРОКГАУЗА и ЕФРОНА.

Для облегченія подписки на „СЛОВАРЬ“ въ виду поступающихъ многочисленныхъ заявленій объ обременительности единовременной уплаты за вышедшіе полутомы,

КОНТОРОЮ НЫНѢ УСТАНОВЛЕНЫ НИЖЕСЛѢДУЮЩІЯ УСЛОВІЯ РАЗСРОЧКИ:

1) Вышедшіе до сихъ поръ полутомы (числомъ 20) высылаются подписчикамъ ЕДИНОВРЕМЕННО, при чемъ уплачивается ЗАДАТОКЪ въ размѣрѣ отъ 10 руб.,

2) Остальная сумма (50 руб. и за пересылку 8 руб,. всего 58 руб.) погашается взносами въ размѣрѣ отъ 1½ РУБ. ВЪ МѢСЯЦЪ;

3) Слѣдующіе имѣющіе выходить полутомы высылаются на общихъ основаніяхъ—съ наложеннымъ платежемъ въ 3 руб. 40 коп. на каждый полутомъ по мѣрѣ выхода.

За подробными справками и съ подпиской на изложенныхъ основаніяхъ обращаться КЪ ПРЕДСТАВИТЕЛЮ „СЛОВАРЯ“ ДЛЯ КАВКАЗСКАГО КРАЯ

Б. Г. КРАСНЯНСКОМУ

Въ Тифлисѣ, Михайловская ул., д. № 153, а также въ центральную книжную торговлю и въ книжный магаз. Хиддекеля. Иногородные благоволятъ обращаться исключительно къ Б. Г. КРАСНЯНСКОМУ.

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“

(начатый проф. И. Е. АНДРЕЕВСКИМЪ)

подъ редакціей К. К. АРСЕНЬЕВА и заслуженнаго проф. Ѳ. Ѳ. ПЕТРУШЕВСКАГО.

При участіи редакторовъ отдѣловъ:

Проф. А. Н. Бекетовъ (біологич. науки).
С. А. Венгеровъ (исторія литературы).
Проф. А. И. Воейковъ (географія).
Проф. Н. И. Карѣевъ (исторія).
Проф. Д. И. Менделѣевъ (химико-технич. и фабрично-завод.)
Проф. В. Т. Собичевскій (сельско-хозяйственный и лѣсоводство).
Владиміръ Соловьевъ (филос.).
Проф. Н. Ѳ. Соловьевъ (музыка).

„ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ“ выходитъ каждые 2 мѣсяца полутомами, въ 30 листовъ убористой печати. Въ настоящее время вышло двадцать полутомовъ.

Цѣна за каждый полутомъ безъ пересылки въ переплетѣ 3 руб., безъ переплета 2 руб. 70 коп. За пересылку 40 коп. на каждый полутомъ. Переплеты изъ шагреневой кожи съ золотымъ тисненіемъ на переплетѣ. Книги высылаются по почтѣ съ наложеннымъ платежемъ.

(5—1047—1) Издатели { А. Ф. БРОКГАУЗЪ (Лейпцигъ). И. А. ЕФРОНЪ (С.-Петербургъ).

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარეეი

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

ხელოგბადა აძვს ორთძლის მაშინების კეთება.

განიკრი ნახვერად მოძრავი ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით.

მაღალი ნახვერად მოძრავი 1-დგან 100 ცხენის ძალით.

მოგრძო უძრავი 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250ცხენის ძალით





ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(3—1)

„ჩიკაგო“

წინანდელი სასტუმრო „**დანია**“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

ფასი ოთახების

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—15)

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თთვით. . .	10 მ.—კ.	6 თთვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	4 ,, . . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეიკლება, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებშ № 21.